ევროპის ერთა თასი

საქართველო ჩეხეთი

კვირა, 12 ივნისი, 2005 წელი

ქუთაისი

დასაწყისი ექვს საათზე

რაგბი ქუთაისში ბრუნდება

ქართული რაგბის თემი ქუთათურთა წინაშე ვალშია: ქალაქს, სადაც „ბორჯღალოსნების“ საერთაშორისო ნათლობა შედგა, ამდენი ხანი იყო, ეროვნული ნაკრები თვალდა-თვალ ვეღარ ეხილა.

ახლა ეს ხინჯი სწორდება. მრავალი „ბორჯღალოსნის“ გამზრდელ წიაღში საქართველო ჩეხეთს ერკინება და მთელი ქვეყნის გულისყურიც „აიას“ მშობელი ქალაქისკენაა მიპყრობილი. გვჯერა, რომ „ერთა თასის“ მატჩის ქუთაისში გამართვა რიონის პირად სპორტულ მაჯის-ცემას გამოაცოცხლებს და სრულიად იმერეთშიც რაგბის აღორძინების საწინდარი გახდება.

„აიას“ სადღეისო გასაჭირი სარაგბო ოჯახს ალალად აწუხებს. გვახსოვს ჭიათურის კოლორიტული კლუბიც. უმათოდ „ბორჯღალოსნები“ უტეხ, ბოლომდე მებრძოლ ძალად ვერ ჩამოყალიბდებოდნენ და ვერც ქომაგთა საყვარელ გუნდად იქცეოდნენ.

დიდ რაგბს დანატრებული ფანობა ამ წიგნაკით ოვალური ბურთის სამყაროში გზას გაიგნებს. მკითხველი გაეცნობა ჩეხებს და მათთან ჩვენი რაგბობის ისტორიას, შეიტყობს ნაკრების სულ პირველი მატჩის კულუარულ წვრილმანებს, იხილავს „ბორჯღალოსანთა“ და „აიას“ ზუსტ სტატისტიკას, ჩაწვდება მსოფლიო თასის შესარჩევთა რთულ სისტემას, რაგბთან ჯერაც უზიარებელი წვრილფეხობა კი თამაშის ანბანს შეიმეცნებს.

რანი არიან ჩეხები

„ბურჟუაზიულ“, მასარიკის ჩეხოსლოვაკეთში რაგბი საფრანგეთიდან შეიტანა მწერალმა ონდრეი სიკორამ, რაგბის კავშირი, „ჩესკა რაგბიოვა უნიე“ კი 1926 წელს დაარსდა. ერთი წლის შემდეგ ჩეხეთმა პირველი ტესტი გამართა, ოღონდაც სლოვაკეთის ცენტრ ბრატისლავაში და 5:21 წააგო რუმინეთთან.

რაკი სლოვაკეთი ვახსენეთ, უნდა ითქვას, რომ რაგბი ერთიან ქვეყანაში მხოლოდ ბოჰემიასა და მორავიაში გავრცელდა, რის გამოც 1993 წელს რომ დაიშალა ორი ერის კავშირი, ოვალური ბურთის თემს არა მოჰკლებია რა და ევროპული რაგბის რუკაზეც სლოვაკეთი შარშანდლამდე თეთრ ლაქად რჩებოდა.

1934 წელს ევროპული ფირა (ახლანდელი ფირა აპრ) რომ შეიქმნა, ჩეხოსლოვაკეთი მისი ერთერთი დამფუძნებელი იყო. მალე დაიწყო მსოფლიო ომი, სოციალიზმის ხანაში კი ჩეხები სისტემატურად მხოლოდ „ვარშავის პაქტის“ ქვეყნებს ერაგბებოდნენ.

ჩეხურ რაგბს ოქროს ხანა „პრაღის გაზაფხულის“ წინ დაუდგა. 1966 წელს რუმინეთი პრაღაში ფრეს, 9:9 დასჯერდა, 1967 და 1968 წლებში კი ჩეხეთმა „ერთა თასზე“ მესამე ადგილი დაიჭირა.

მას აქეთ ჩეხური რაგბი დაკნინდა. საბჭოთა ტანკების შეჭრის შემდეგ დემოკრატია ქვეყანაში შეიზღუდა და ოფიციოზმა სპორტშიც ძალუმად დაიწყო ჩარევა. 1977–78 წლების სეზონში გუნდმა 6:60 რომ წააგო რუმინეთთან, სპორტის ღვაწლმოსილმა მინისტრმა, ანტონინ ჰიმლმა კავშირის იმჟამინდელი (და ახლანდელიც!) თავკაცი, აწ უკვე „ჩეხური რაგბის ნამუსად“ შერაცხული ედუარდ კრუცნერი დაიბარა და ჰკითხა, სტეროიდების რა პორცია იკმარებს გუნდის წამოსაწევადო.

რაგბის მამამ პარტიულ ფუნქციონერს წაუყრუა. ეგრე არ უნდაო და მინისტრმა რაგბის ნაკრები ხუთი (!) წლით ჩამოაშორა საერთაშორისო ასპარეზს. ვიდრე ეგ მოხდებოდა, 1976 წლის 17 ოქტომბერს, ფირა–ს ასპარეზზე პირველი ტესტის მოთამაშე სსრკ ჩეხებმა რეჟიჩანში, კოკისპირულ წვიმაში 9:6 ძლიეს.

მერე კომუნიზმი თანდათან დასუსტდა, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში სანახევროდ სამოყვარულო თამაშმა მაინც ვერ იხარა. თავად განსაჯეთ: სპორტის სამინისტროს პრიორიტეტთა ნუსხაში ოვალურბურთა თამაშს დართსის (ბუნიკობანა, ანუ ლუდით შეზარხოშებული მუშტრების საბარო გასართობი!) კვალად ოდენ 63-ე ადგილი უჭირავს.

და მაინც, შარშანწინ რაგბის თემს მხსნელი მოევლინა. „სოსიეტე ჟენერალი“ შინ, საფრანგეთიშიც არ აკლებს რაგბს მზრუნველობას და ჩეხეთში „კომერჩნი ბანკი“ რომ ფილიალად გაიხადა, იქაც გადააფარა მზრუნველი კალთა დაჩაგრულ თამაშს.

ხელისუფლების მხრივ უგულისყურობის მიუხედავად, ნაკრებმა მაინც უმატა თამაშს. რომ გაჩაღდა 2003 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი შეჯიბრი, მანამდე „ერთა სიწზე“ უხეიროდ მოასპარეზე გუნდი გარდაისახა და 2001 წლის

შემოდგომაზე ოთხივე მატჩი მოიგო: შინ 46:3 ძლია ბელგია, გარეთ 32:6 შვეიცარია, ისევ გარეთ, 13:5 ხორვატია და შინ, 26:8 უკრაინა.

ამით ჩეხეთი შემდეგ სტადიაზე „ერთა თასზე“ ხელმოცარულებს, რუსეთსა და ჰოლანდიას შეუამხანაგდა. რუსეთს ჩეხებმა 2002 წლის მართლმადიდებლურ აღდგომაზე, დილის 11 საათზე უმასპინძლეს და ჯერ 18:37 წააგეს რაგბი, მერე კი ლუდის სმაც! სამაგიეროდ, ორი კვირის თავზე ამსტერდამში 54:12 მოსრეს ჰოლანდია და დაამტკიცეს, რომ „ერთა თასზე“ ასვლა ალალად ეკუთვნოდათ.

მას აქეთ აგერ უკვე მესამე სეზონია, ჩეხეთი ჩვენს კომპანიაშია. გუნდმა ორ-ორჯერ ძლია ამქრიდან აწ უკვე გარიცხული ესპანეთი (40:38 სტუმრად და 16:6 შინ) და თვით რუსეთიც (ორივეჯერ შინ; 2003 წელს 27:13, წლეულს 11:7). ჩეხები „ერთა თასის“ ამჟამინდელ ჯილას, პორტუგალიასაც ორჯერ მაგრად გაუძალიანდნენ და მხოლოდ 8:13 და 13:19 წააგეს. ერთი სიტყვით, ჩვენი სტუმარი ხელწამოსაკრავი მეტოქე სულაც აღარაა, მაგრამ კლასით „ბორჯღალოსნებთან“ ჯერაც ვერ მივა.

XXI საუკუნეში ჩეხთა ლიდერები მორკინალები, იან მახაჩეკი და ლადია ვონდრაშეკი არიან. პირველმა რაგბით ნახევარი მსოფლიო მოვლო: დაიწყო პრაღის „სლავიით“, მერე თამაშობდა დანიდინის (ზელანდია) „პაირატსში“, უელსის „ნიუპორტში“, ინგლისის „სეილში“, უელსის „პონტიპრიზში“ და საფრანგეთის „მონფერანში“; ბოლოს დაბა რჟიჩანის კლუბში ახარებდა ჭიას, წელს კი, ინგლისურის ცოდნისა გამო, ნაკრების მედია-ატაშეა!

მეორეც კარგა ხანია ინგლისის ქვედა დივიზიონებში რაგბობს. კარგები არიან საფრანგეთში მოღვაწე ბეკებიც, ორი მარტინი, იაგრი და კაფკა. პირველი ჩვენი გია ლაბაძის გუნდელია „ტულონში“, მეორის გამო კი სარაგბო პროპაგანდა ხელიდან შანსს არ გაუშვებს, რომ არ შენიშნოს, დიდი მწერლის, ფრანცის პირდაპირი შთამომავალიაო.

ჩეხეთი

(წლეულს, 19 მარტს, რუსეთის მომრევი)

ბეკები

15 ტომაშ კრეიჩი (სან სატურნენი სშრ)
11 მარტინ იაგრი (ტულონი სშრ)
14 მიხალ შლანგერი (პეტროვიცე)
13 მარტინ პეკარეკი (რჟიჩანი)
12 ანტონინ ბრაბეცი (სმიხოვი)
10 მარტინ კაფკა (მეტრო რასინგი სშრ)
9 პაველ სიროვი (პრაგა)

ფორვარდები

1 ირჟი სკალი (სპარტა)
2 ლუკაშ რაპანტი (სან ნაზერი სშრ)
3 იან კუბალეკი (რჟიჩანი)
4 რობერტ ვოვესი (სან ნაზერი სშრ)
5 იოზეფ ვებერი (ბრნო)
6 იან ჟილა (სმიხოვი)
7 კაპ ლადია ვონდრაშეკი (ბრექნელი ინგ)
8 მიროსლავ ნემეჩეკი (ბრექნელი ინგ)

მარქაფა

22 იან ტომჩიკი (ჰავირჟოვი)
21 იან როჰლიკი (სან ნაზერი სშრ)
20 ვიტეზლავ დოსედლა (ბრნო)

16 იან ოსვალდი (სმიხოვი)
17 პაველ ინდრაკი (ფიჰლჰეჰლი უელ)
18 ჟან-ბაპტისტ სოუჩეკი (მიელანი სშრ)
19 პატრიკ ლეროხი (ჰავირჟოვი)

მწვრთნელი: კრისტიან გალონიე (სშრ)

დროული და უტყუარი სარაგბო ინფორმაცია

ყოველდღიური
სპორტული გაზეთი

მსოფლიო რაგბის საითი www.GeoCities.com/DidiRagbi
რაგბის კავშირის საითი www.GeorgianLelos.com

ოთხიდან ოთხი!

ჩეხებს რაგბში პირველად 1968 წელს, „საქართველოს ტელევიზიის თასზე“ გავეჯიბრეთ. 70-იან წლებში თბილისის უნივერსიტეტი დაუმეგობრდა პრაღისას, 80-იანში კი ჩეხეთი „შევარდენმა“ მოიხილა.

ნაკრებთა დონეზე ჩეხებთან ოთხი მატჩი გაგვიმართავს და ოთხჯერვე გაგვიმარჯვნია. ჯამური ანგარიშია 91:39, ლელოთა ბალანსი კი 12-2. სულ პირველი რკენა ცხრა წლის წინ, წითელ პარასკევს, თავსხმა წვიმაში იყო.

იმხანად შუაევროპელები ფირა-ს ამქრის ვეტერანები იყვნენ, ხოლო ჩვენ ახალბედები, მაგრამ მამათა ვარაუდის საწინააღმდეგოდ, მოვიგეთ და იქედან მოყოლებული ზეპურ ასპარეზზე ბევრად მეტს მივაღწიეთ, ვიდრე ჩეხებმა ლამის 80 წლის მანძილზე. სხვა რომ არა იყოს რა, 2001 წელს „ერთა თასი“ ავიღეთ, 2003 წელს კი მსოფლიო თასზეც ვირაგეთ!

1996 წლის 12 აპრილი

საქართველო 20:3 ჩეხეთი

საქ: (15-9) მაჩიტიძე, სპ.ლიპარტელიანი (საკანდელიძე 80), ჯიმშელაძე, ალანია, ქავთარაშვილი; იურინი, შ. მოდებაძე (ხუციშვილი 68) / (1-8) ჩიქავა, მთიულიშვილი, ბაბუნაშვილი (ა. გიორგაძე 41); ღიბრაძე, პარწიკანაშვილი; ობოლაძე **კაპ**, ფხაკაძე, დიდებულიძე (ზ. ლეჟავა 52) – **ვლ:** ქავთარაშვილი, ჯიმშელაძე, იურინი; მ: მოდებაძე; ს: მაჩიტიძე

ჩეხ – ს: 14 შტოურაჩი

მსაჯი გალანდა (რუმინეთი). თბილისი, ვაკე – 7:0(1) 12:0(23) 15:0(30) / 15:3(44) 20:3(53)

1996 წლის 22 სექტემბერი

ჩეხეთი 14:18 საქართველო

საქ: იურინი, ჯიმშელაძე, ჩიქვინიძე, ალანია, ბუგიანიშვილი (მაჩიტიძე); ტეფნაძე, შ. მოდებაძე / ჩიქავა, მთიულიშვილი, ფირცხალავა (ცაბაძე); ზ. მჭედლიშვილი, ზ. ლეჟავა; ობოლაძე **კაპ**, ლაბაძე, ჯაფარაშვილი – **2ლ:** ფირცხალავა, მაჩიტიძე; მ, 2ს: მოდებაძე

ჩეხ – ლ; 3ს

მსაჯი ბორდნავი (საფრანგეთი). პრაღა, სმიხოვი – 0:3 3:3 10:3 10:6 / 10:9 10:14 15:14 18:14

2003 წლის 22 მარტი

ჩეხეთი 15:30 საქართველო

საქ: ხამაშურიძე, ხეხელაშვილი, ზიბზიბაძე, კაცაძე (კვირიკაშვილი), გუნდიშვილი; ჯიმშელაძე, აბუსერიძე / მთიულიშვილი (ხინჩაგიშვილი), შველიძე, რატიანიძე; ზ. მჭედლიშვილი, ნადირაძე (დიდებულიძე); ლაბაძე (ჩხაიძე), იაშვილი (ბოლღაშვილი), ზედგინიძე **კაპ** – **5ლ:** ზიბზიბაძე, ხამაშურიძე, ლაბაძე, შველიძე, ზედგინიძე; მ, ს: ჯიმშელაძე

ჩეხ – 4ს, ა: 10 კაფკა. მსაჯი დამასკო (იტალია). პრაღა, სმიხოვი – 5:0 10:0 10:3 10:6 10:9 / 15:9 22:9 22:12(ა) 25:12 25:15 30:15

2004 წლის 20 მარტი

საქართველო 23:7 ჩეხეთი

საქ: ბარკალაია, გუგავა (პინჩუკოვი 71), ზიბზიბაძე, ფირფილაშვილი (ანდღულაძე 40), შკინინი; კვინიხიძე, კვირიკაშვილი (სამხარაძე 60) / მთიულიშვილი (კუთარაშვილი 52), დადუნაშვილი, ჭავჭავაძე (ესაკია 48); ზედგინიძე **კაპ** (დ. ჟღენტი 68), გორგოძე; უდესიანი, ზ. მაისურაძე, ჩხაიძე (პაპაშვილი 68) – **2ლ:** ზედგინიძე, გორგოძე; 2მ, 3ს: კვინიხიძე

ჩეხ – ლ: 15 როჰლიკი; მ: 10 კრეიჩი. მსაჯი გაბაი (გერმანია). თბილისი, ეროვნული – 3:0(28) 10:0(30) 13:0(37) 16:0(40“2) / 23:0(63) 23:7(80“3)

http://www.GeoCities.com/DidiRagbi/2004-09/10_Borj-15teli.htm

ქუთაისური ნათლობის გახსენება

1989 წლის შემოდგომა იყო, ეროვნული ენთუზიაზმის ალალი აზვირთების ხანა. ჰაერში მომავალი დამოუკიდებლობის სურნელი ტრიალებდა. რაგბი სპორტული თვითმყოფადობის დამკვიდრებისთვის წამოწყებული საყოველთაო ლაშქრობის ავანგარდში იდგა. ამ არაოლიმპიურ ბურთაობას იმპერიული სპორტის მამები ალმაცერად უცქერდნენ. ფხიანმა ქართველებმა იაზრეს და რუსთა გვერდის ავლით, სახეობათაგან ერთ-ერთმა პირველებმა მიმართეს საერთაშორისო გაერთიანებას, სუვერენული ქვეყანა ვართ და ბურთაობა მსოფლიო დონეზე დამოუკიდებლად გვსურსო.

რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) ახალი დაწყებული ჰქონდა თამაშის მსოფლიოში გავრცელებისა და განვითარების კამპანია. „პერესტროიკის“ მიუხედავად, საბჭოური სპორტის დიდმოხელეები, პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო, „რეგბის ფედერაციას“ IRB-ში შესვლის ნებას არ რთავდნენ, რის გამოც „რეგბისტთა“ თაობებს გაუცდათ პირველი და მეორე მსოფლიო თასები.

საქართველო IRB-ს რომ შეეხმიანა, მსოფლიო რაგბის ოღრაშებს გაეხარდათ, მაგოტოლა ქვეყანაში ძლივს გამოჩნდა ხალხი, ვინც ცხვირს არ გვიბზუებს და დემაგოგიურად არ გვთხოვს იმათ მოკვეთას, ვისაც ოდესმე (!) რასისტულ სამხრეთ აფრიკასთან უთამაშიაო.

თუ ქვეყანა ვართ, მაშ ეროვნული გუნდიც უნდა გვყავდესო და „რეგბის ფედერაციის“ მაგივრად გამოცხადებულმა საქართველოს რაგბის კავშირმა (სრკ) ნაკრების შედგენა დაისახა მიზნად. გუნდის შექმნისა და ნათლობის საქმეს ფრიადი ამაგი დასდეს კავშირის პრეზიდენტმა ალეკო გოცირიძემ, სახელმწიფო მწვრთნელმა დავით კილასონიამ, „აიას“ მწვრთნელმა დუგლას კავთელაშვილმა, ქუთაისური რაგბის თავკაცმა რამაზ ყანჩაველმა და ვეტერანთა აქტივმა.

იმხანად ევროპა უნდა მოეხილა საძულველი სამხრეთი აფრიკის ანტიპოდსა და გამოსწორებულ მეზობელს, ზიმბაბვეს (ყოფილი სამხრეთი როდეზია), რომელიც პირველ მსოფლიო თასზე ნათამაშევიც კი იყო. ჩვენს მოღვაწეებს საბჭოური რაგბის უფროსობაში საკმაო გავლენა ჰქონდათ. მათ უპრობლემოდ დაიყოლიეს მოსკოველები, რათა სტუმარს ერთი მატჩი საქართველოში გაემართა.

„ცენტრი“ ხვდებოდა, კავკასიელები რასაც გეგმავდნენ, მაგრამ მწვადისა და სასმელის მოყვარული რუსი ფუნქციონერები იმპერიულ პატრიოტიზმს არად დაგიდევდნენ და უკანასკნელ ლხინზეც უარს ვერ იტყოდნენ.

საქართველო – ზიმბაბვეს ტესტი, ანუ რაგინდარა ყაიდაზე და მოყვანილობის ბურთით მოთამაშე ქართველთა ნაკრების ნათლობის მატჩი, ასე დაინიშნა „მამა-ქალაქ“ ქუთაისში. ეს რიონისპირელ მორაგბეთა ღვაწლის აღიარება იყო და ქუთათურებზე უკეთაც ვერავინ შეძლებდა ესოდენ მნიშვნელოვანი ღონისძიების მასპინძლობას.

ნაკრების შემადგენლობა უმტკივნეულოდ, მაგრამ ნაუცბათევად შეირჩა. ტესტამდე ცხრა დღით ადრე ვაკეში, საკავშირო პირველობის კალენდარულ მატჩში, ძმურად წაიბურთავეს „ელმავალმა“ და „აიამ“. ნამატჩევს, გასახდელთან გაჩერებულ ავტობუსთან პრესის ასოკირკიტა წარმომადგენელმა კილასონიასა და კავთელაშვილს სთხოვა, გუნდის სია მიკარნახეთო. მწვრთნელებს შემადგენლობის გამო ადრეც ემსჯელათ, მაგრამ სახელდახელო პრეზენტაციას დაინტერესებული ხალხი ბლომად შეესწრო და საკუთარი აზრი შეაშველა სელექტორებს. მერე ჩვენი კლუბები სტუმრად გაფრინდნენ სათამაშოდ და მატჩამდე სამი დღით ადრეღა გაერთიანდნენ ქუთაისში, სადაც საბოლოოდ დადგინდა 21-კაცა რაზმი (იმხანად მარქაფაში ექვსი კაცი გეჯდა და მხოლოდ სამის გამოყენება შეგეძლო).

დიდი ვნებათღელვა მოყვა სათამაშო სამოსის შერჩევას. რაჟამს ნაკრების შექმნის აზრი გამოითქვა, ყველას თითქო ეამა მისი შინდისფრად შემოსვა, მაგრამ კულუარებში რაღაც მანქანები ამოქმედდნენ და გუნდისთვის შოტლანდიურად იისფერი კვართები შეაკერინეს.

მუხთლობა თამაშამდე ორი კვირით ადრე გამჟღავნდა. პრესაში ხმაური ატყდა. გამოჩნდა თამამი და ღვთისნიერი კაცი, გლდანის ტრიკოტაჟის ფაბრიკის გენერალური დირექტორი რუდოლფ რაქვიაშვილი, ვინაც თავიდან, უსასყიდლოდ შეუკერა შინდისფერი კვართები ეროვნულ ნაკრებს და რაგბის თემი სირცხვილს გადაარჩინა.

ამასობაში ზიმბაბვეც ჩამოვიდა და წყალტუბოს მოტო-ოტელში დაბინავდა. „ქეიფთაუნ კუტაისში“ დიდი ღონისძიებააო და საბჭოთა რაგბის მთელი ბომონდი, ქართველთა სიძის, ავიაციის გენერალ-მაიორ ვლ. ილიუშინის თამადობით, ჩამობრძანდა ჩვენს ზეიმზე, რომელიც მათთვის პანაშვიდი თუ ვერა, უკანასკნელი მასკარადი კი უნდა ყოფილიყო.

თამაშის დღეს დილიდან წვიმდა. მოედანი დალბა და დაიტბორა. ხალხი მაინც ბლომად მოვიდა. ვისაც ქოლგა არ ჰქონდა, ცელოფანი იყიდა და გადაიფარა. თბილისიდან რაგბის ქომაგები ავტობუსებით და ხაზის ტაქსებით ჩავიდნენ ქუთაისს. მობრძანდა ᲛᲓᲞ-ის ელიტაც.

ტესტამდე შეიბნენ ქუთაისელი და თბილისელი ვეტერანები, მერე კი ჩოხატაურელი და მარტვილელი ლელობურთელები. ბატონმა დუგლასმა ტრიბუნებს მქუხარე ტაში მოწყვიტა ძალისმიერი სოლოთი და ძალიან შორიდან გატანილი ჯარიმით.

შოუ გაიწელა და ჩამობნელდა. ისტორიული მატჩი 19 საათსა და 10 წუთზეღა დაიწყო. გუნდები ჰიმნების მოსასმენად გამწკრივდნენ. სტადიონი „დიდებას“ ელოდა, მაგრამ ოფიციოზმა მაინც საბჭოთა საქართველოს ჰანგი დააკვრევინა და ფლაგშტოკზეც შინდისფრის ნაცვლად „ცისფერი მზე“ ააფრიალა.

საქართველო 16
ზიმბაბვე 3

საქართველო: 15 ვანო საცერაძე†, 14 ალეკო ხვედელიძე, 13 ოლეგ ლიპარტელიანი†ᲞᲐᲞ (16 კახა მაჩიტიძე 33), 12 მალხაზ ჭეიშვილი, 11 ბათლომე ხამაშურიძე; 10 ნუგზარ ძაგნიძე, 9 მამუკა ლოსაბერიძე /

1 ზაზა ბაკურაძე, 2 თენგიზ ტურძელაძე, 3 ბესარიონ ლილუაშვილი (21 გელა ფირცხალავა 71); 4 თამაზ ხუადე†, 5 ალექსანდრე ისაკაძე (20 თამაზ ოდიშარია 49); 6 თამაზ ფხაკაძე, 7 გია გიუნაშვილი, 8 დათო ღუდუშაური

(მარქაფა: 17 ოლეგ ჟორჟოლიანი, 18 ემზარ გეგუჩაძე / 19 ზვიად ლიპარტელიანი) –

ლ: ჯგუფური (ძაგნიძე); 4ს: ძაგნიძე

ზიმბაბვე: (15-9) ბუიტენდახი, ძინომურუმბი, ლეჩერი, ლეიტინში, კამბა; ფერერა ᲞᲐᲞ, ჰოფმაიერი / (1-8) ვოთსონი (დევიდსონი 25), ალბაზინი, გარვი; დეკლერკი, მაკინტოში; ნიალა, დოუსონი, ბოთა – ს: ფერერა

რეფერი გოჩა აბაშიძე; კიდეებზე: ბორის ზიბზიბაძე და ზიმბაბველი ზანგის ბიჭი

0:3(3) 3:3(5) 6:3(10) 10:3(35) / 13:3(48) 16:3(56)

სამშაბათი, 12 სექტემბერი, 1989 წელი; ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი (12 ათასი)

ხალხმა ეს ვერ იგუა და სტვენა ატეხა. ქომაგობა იმაზე ნაკლები როდი ყოფილა, მერე და მერე რუსეთი თბილისში რამდენჯერმე რომ გვაძლევინა. არ წყდებოდა შეწყობილი ტაში და ბუზიკის აკომპანიმენტით სიმღერა. „ბორჯღალოსნებს“ გულისპირზე ოქროსფერი შევარდენი ეხატათ. ავდარში ბურთაობა დიდი ვერაფერი სანახავი გამოვიდა, რაკი სველი ბურთი და მოედანი გაშლილად, ხელდახელ თამაშის საშუალებას არ იძლეოდა. იყო მორკინალებით გაუთავებელი ჯაგა-ჯუგი და ფეხით ტაქტიკური დარტყმები. ერთი-ორჯერ ქართველმა ბეკებმა მაინც მოახერხეს ხაზის გაჭრა, მაგრამ ზომიერებამ უღალატათ.

ჩვენები მალე დაწინაურდნენ და უსიტყვოდ, 13 ქულით გაიმარჯვეს. საქართველოს ყველა ქულა, ოთხი საჯარიმო გოლითა და ერთი ჯგუფურ-საჯარიმო ლელოთი (ლელო იმახანად ოთხი ქულა ღირდა), შესძინა ნუგზარ ძაგნიძემ, ვინც იმხანად კარიერის ზენიტში იყო.

დიდი იყო სიხარული. სტადიონზე შეკრებილი ქართველობა ერთმანეთს ულოცავდა. მერე „თეთრ ქვებში“ გაიმართა საარაკო ლხინი, რომელზეც ჩვენმა რჩეულმა ბიჭებმა მეორედაც დაამარცხეს თეთრი აფრიკელები.

დიდ გამარჯვებას საკადრისი ასახვა ჭირდებოდა, მაგრამ საქმეში ისევ შავბნელი ძალები ჩაერივნენ. სახელმწიფო ტელევიზიამ მატჩის რეპორტაჟი, არც პირდაპირი და არც ჩაწერილი, არ გადასცა. ჩანს, ვინმე ერთობ ძლევამოსილს ხელს არ აძლევდა, რომ სრულიად საქართველოს საათ-ნახევარი ეცქირა შინდისფრად შემოსილი 15 ქართველისთვის, რომლებიც ეროვნული დროშების ტყისა და ნაციონალისტური „ლე-ლო, ლე-ლო, სა-ქართვე-ლოს“ აკომპანიმენტით არა-ოლიმპიურ სახეობაში სამაგალითოდ გაიმარჯვებდნენ.

თითქო პირი შეკრესო, იმ საღამოს სტადიონზე არც პროფესიონალი ფოტოგრაფები ყოფილან. პრესაში ახალი სპორტული ეპოქის დასაწყისი მხოლოდ „ლელომ“ გააშუქა, რაკი იმხანად სხვა გაზეთები არ გამოიცემოდა. და მაინც, მატჩის სრული ვიდეოცა და ფოტოებიც არსებობს. შთამომავლობას ისტორია თავად რაგბის თემმა შემოუნახა: ვიდეო ნუგზარ ბუგიანიშვილმა და ნოდარ ჩაჩანიძემ გადაიღეს, ფოტო კი დავით თაქთაქიშვილმა და მიხეილ ხარატმა. მართალია, ეს მასალები მერე მიმოიფანტა, მაგრამ 2009 წელს ქართული რაგბის ნახევარ-საუკუნოვანი იუბილე გველის და მათ სამუზეუმოდ მოვაგროვებთ.

ბორჯღალოსანთა მონაგარი 1989-2005

72 თამაში

26 შინ, 36 გარეთ, 10 ნეიტრალურზე

41 გამარჯვება – 28 მარცხი, 3 ფრე

ქულა 1604 : 1443

ლელო 190 – 164

სულ (17 სეზონში) **160 ბორჯღალოსანი**

88 ფორვარდი, 66 ბეკი და 6 უნივერსალი

ფორვარდებმა გაიტანეს 92 ლელო, ბეკებმა 98

კაპიტნები (სულ ცამეტნი)

ილია ზედგინიძე 19 თამაში; ლევან ცაბაძე 12; დიმიტრი ობოლაძე და ზურაბ მჭედლიშვილი 11; ნუგზარ ძაგნიძე 7; ოლეგ ლიპარტელიანი 3; ვასილ კაცაძე და დავით ბოლღაშვილი 2; ალეკო ხვედელიძე, თამაზ ფხაკაძე, გია რაფავა, ვანო ნადირაძე და გია ლაბაძე – თითო

ღვაწლმოსილნი

პალიკო ჯიმშელაძე 44 ბორჯღალი (კეპი); ზურაბ მჭედლიშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, აქვსენტი გიორგაძე და მახო ურჯუკაშვილი 38; გია ლაბაძე 37; თედო ზიბზიბაძე 36; ილია ზედგინიძე 35; ვანო ნადირაძე და ვასილ კაცაძე 34; ლევან ცაბაძე და ვიქტორ დიდებულიძე 33; მევლუდ მთიულიშვილი 30

ქულა

პალიკო ჯიმშელაძე 263 (7ლ 48გ 41ს 3ა); მახო ურჯუკაშვილი 176 (9ლ 22გ 28ს ა); ნუგზარ ძაგნიძე 105 (3ლ 9გ 22ს 3ა); კახა მაჩიტიძე 63 (2ლ 10გ 7ს 4ა); შოთა მოდებაძე 62 (3ლ 4გ 13ს); ნიკო იურინი 53 (6ლ 4გ 3ს 2ა); ბობა კვინიხიძე 34 (ლ 4გ 7ს)

ლელო

ილია ზედგინიძე 11 (ორი საჯარიმო); ლევან ცაბაძე და არჩილ ქავთარაშვილი 10; მახო ურჯუკაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე და თედო ზიბზიბაძე 9; აქვსენტი გიორგაძე, ვასილ კაცაძე და გია ლაბაძე 8; პალიკო ჯიმშელაძე 7; ნიკო იურინი, ბადრი ხეხელაშვილი და გოდერძი შველიძე 6

(წინ) თემურ მინდიაშვილი, გელა ფირცხალავა, კახა გაბრიჩიძე, ნიკოლოზ ნემსიწვერიძე, თენგიზ ტურძელაძე, მამუკა ლოსაბერიძე, ავთო გიორგაძე†, ზაზა თხელიძე, პაატა ძოწენიძე, ალექსანდრე გრიგალავა, თამაზ ფხაკაძე, მიშა ხარშილაძე

(უკან) როზბერტ ობოლაძე, ოლეგ ლიპარტელიანი†, გია წივწივაძე†, ალექსანდრე ნაჭყებია, ბესარიონ ლილუაშვილი, გრიგოლ გაბუნია, ბადრი შვანგირაძე, დუგლას კავთელაშვილი, ბათლომე ხამაშურიძე, თამაზ ოდიშარია, ალექსანდრე ლიკლიკაძე, ნუგზარ ძაგნიძე

ჟურნალი „რაგბი“ №5 (2001): „აია“ 35 წლისაა!

სსრკ ასპარეზზე

1977	მე-16 (მე-6 პირველ ლიგაში)
1978	მე-9
1979	მე-9
1980	მე-7
1981	მე-7
1982	მე-5
1983	მე-6
1984	მეორე
1985	მესამე
1986	მე-8
1987	პირველი და თასი
1988	პირველი
1989	პირველი
1990	მე-4 და თასი

საქართველოს პირველობაზე

1990	პირველი
1991	პირველი
1992	მეორე
1993	მესამე
1994	მესამე
1995	პირველი
1996	მე-4
1997	მეორე
1998	მე-8 (ბოლოსწინა)
1999	მე-8 (ბოლო)
2000	მე-6 (პირველი „ბ“ ჯგუფში)
2001	მე-4
2002	მე-6 (გავარდა „ბ“ ჯგუფში)
2003	მე-7 (პირველი „ბ“ ჯგუფში)
2004	მე-6 (გავარდა „ბ“ ჯგუფში)

ქუთაისელი ბორჯღალოსნები

ნიკა აბდალაძე, დავით აშვეთია, გუგა ბაბუნაშვილი, ემზარ გეგუჩაძე, აქვსენტი და ირაკლი გიორგაძეები, დავით დადუნაშვილი, თედო ზიბზიბაძე, დავით იობიძე, ალექსანდრე ისაკაძე, ავთანდილ კოპალიანი, ბესო ლილუაშვილი, ზვიად და ოლეგ ლიპარტელიანები, მამუკა ლოსაბერიძე, ალეკო მარგველაშვილი, კახა მაჩიტიძე, საშა ნაჭყებია, ირაკლი ნინიძე, თამაზ ოდიშარია, ზურაბ რეხვიაშვილი, პაატა სანებლიძე, თენგიზ ტურძელაძე, პაატა ტყაბლაძე, გელა ფირცხალავა, თამაზ ფხაკაძე, ემზარ შანიძე, ბადრი შვანგირაძე, ემზარ და ნუგზარ ძაგნიძეები, პაატა ძოწენიძე, ბათლომე და ბესიკ ხამაშურიძეები, მიშა ხარშილაძე, ტიხონ ხახალეიშვილი, გოჩა ხონელიძე, კოტე ჯინჭარაძე

თუ „ევროპა 3“-ად მოვხვდით

მარტში 2007 წლის რაგბის მსოფლიო თასის პრეზიდენტი, ფრანგი ბერნარ ლაპასე და შპს „მსოფლიო თასის“ თავმჯდომარე, ირლანდიელი დოქტორი სიდ მილარი მედიას პარიზში წარუდგნენ და „ვებ ელისის თასის“ მეექვსე გათამაშების გამოწვლილვითი განრიგი წარუდგინეს.

20-გუნდა ტურნირი 44 დღეს გასტანს. 40-მატჩა პულური სტადია სექტემბერში მოთავდება, 8-მატჩა პლეი-ოფი კი ოქტომბერში გაიმართება. თამაშები 10 ფრანგულ ქალაქში მოეწყობა. ეგენი არიან:

სან დენი (სტად დე ფრანსი), პარიზი (პარკ დე პრენსი), მარსელი, ლიონი, სანტ ეტიენი, ტულუზი, მონპელიე, ბორდო, ნანტი და ლანსი. უელსი სამ მატჩს შინ, კარდიფში გამართავს, შოტლანდია კი ორს, ედინბურგში.

48 მატჩიდან 36 უიკენდზე (პარასკევი, შაბათი და კვირა) მოეწყობა. თამაშები ერთმანეთს არ გადაფარავს. ყველა ფრანგული ქალაქი და კარდიფი მინიმუმ სამ მატჩს უმასპინძლებს. უელსშივეა დანიშნული ის მეოთხედფინალი, რომელშიც ნაღდად გავა ფანთა გულის მპყრობელი, ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსი“.

ორი მეოთხედფინალი მარსელის „ველოდრომზეა“, ორივე ნახევარფინალი კი, სან დენის „სტად დე ფრანსზე“. იქვე გაიხსნება პირველობა და გაიმართება სათასო ფინალი.

საქართველო მსოფლიო თასის შერჩევაში 2006 წლის შემოდგომიდან ჩაებმება, ჯერჯერობით კი „ერთა თასზე“ მორაგბე „ბორჯღალოსნები“ უკეთესი სასტარტო პოზიციისა და განრიგის დასაბევებლად მეცადინეობენ.

თუ ძალთა თანაფარდობა დამდეგ წელიწადნახევარში რადიკალურად არ შეიცვალა და „ბორჯღალოსნებმა“ 2006 წლის ნოემბერში, მეექვსე სტადიის „შინ და გარეთ“ რკენაში აჯობეს პორტუგალიას, მაშინ საქართველო ფინალურ სტადიაზე „ევროპა 3“-ად მოხვდება, დ პულში მიაკითხავს საფრანგეთსა და ირლანდიას, და ეთამაშება:

სამშაბათს, 11 სექტემბერს, ლიონში
სამხრეთ ამერიკას (არგენტინა)

შაბათს, 15 სექტემბერს, ბორდოში
ირლანდიას

ოთხშაბათს, 26 სექტემბერს, ლანსში
აფრიკა 1-ს (ნამიბია)

და კვირას, 30 სექტემბერს, მარსელში
საფრანგეთს

იხილეთ ნახაზი ორი გვერდის შემდეგ

რაგბის VI მსოფლიო თასი

2007 წლის შემოდგომა: საფრანგეთი, უელსი, შოტლანდია

პულური სტადია: 7 – 30 სექტემბერი

მუღამიანი მატჩები

7/09 (დ) საფრანგეთი – სამხ. ამერიკა (სან დენი)
14/09 (ა) ინგლისი – სამხ. აფრიკა (სან დენი)
15/09 (ბ) უელსი – ავსტრალია (კარდიფი)
21/09 (დ) საფრანგეთი – ირლანდია (სან დენი)
23/09 (მ) შოტლანდია – ახ. ზელანდია (ედინბურგი)

პლეი-ოფი: 6 – 20 ოქტომბერი

მეოთხედფინალი

6/10 ბ1 – ა2 (მარსელი), მ1 – დ2 (კარდიფი)
7/10 ა1 – ბ2 (მარსელი), დ1 – მ2 (სან დენი)

ნახევარფინალი

13/10 6 ოქტომბერს გამარჯვებულები (სან დენი)
14/10 7 ოქტომბერს გამარჯვებულები (სან დენი)

მესამე ადგილისთვის

19/10 ნახევარფინალში დამარცხებულები (პარიზი)

თასის ფინალი

20/10 ნახევარფინალში გამარჯვებულები (სან დენი)

პროგრამა-მინიმუმი: მესამე ადგილი!

რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) 2007 წლის მსოფლიო თასის შესარჩევთა სისტემა შარშან ზაფხულში დაამტკიცა. შეჯიბრი უწინდებურად ხუთ რეგიონში (ევროპა, აფრიკა, ამერიკა, აზია, ზღვისრეთი) იმართება და გამოავლენს ფინალის 12 მონაწილეს, რაღაი ბოლო მსოფლიო თასის რვავე მეოთხედფინალისტი საფრანგეთში ახლავეა დაპატიჟებული და პულებშიც ორ-ორად განაწილებული.

შერჩევის პროცესი ტრადიციულად მრავალსაფეხუროვანია და ხარჯის შესამცირებლად მაქსიმალურადაა მორგებული არსებულ რეგიონულ შეჯიბრებებს. რაკი ევროპაში მონაწილე ყველაზე მეტია და „ერთა თასიც“ ექვს ლიგად თამაშდება, აქაურმა აპრ-მა სხვებზე ჩახლართული ფორმულა შეიმუშავა.

პროცესი 2004 წლის სექტემბერში დაიწყო, ბოლო ორ ფინალისტს კი 2007 წლის გაზაფხულზე აქეთ ევროპა – აფრიკა – ამერიკის და იქით ზღვისრეთი – აზიის რეპეშაჟი გამოავლენს.

საქართველოსა და „ერთა თასის“ სხვა მონაწილეებს შერჩევის სამი საწყისი რაუნდი არ ეხებათ. ვიდრე 24 არიფი ერთ რჩეულს გამოავლენდეს, აპრ-ის ელიტის ექვსი წევრი ჩვეულ ყაიდაზე, ორ წრედ, მიმოსვლით, ორი სეზონის განმავლობაში გაითამაშებს თასს და რაც მთავარია, გაარკვევს, თუ ვინ რომელი (მეოთხე თუ მეხუთე) რაუნდიდან ჩაებმება შერჩევაში და გადამწყვეტ მატჩს ვის მოედანზე გამართავს.

დიახ, მოედნის ფაქტორი ურთულეს, მეხუთე რაუნდში ძველებურად გადამწყვეტი იქნება, რაკი შეჯიბრი მასზე ერთ (!) წრედ იმართება. აქედან გამომდინარე, 2005/06 წლების „ერთა თასზე“ (ორი სეზონის ჯამში) მეოთხე ადგილის დაკავებაც კი დამღუპველია, რაღაი ამ პოზიციაზე დარჩენილმა გუნდმა ჯერ მეოთხე რაუნდში, ორმატჩა (შინ და გარეთ) დუელში უნდა მოისტუმროს „ერთა თასის“ მაჩანჩალა, მერე კი, მეხუთე რაუნდში, „ერთა თასის“ მესამე გუნდს ეწვიოს.

ამავე რაუნდში ეს გუნდი, რა თქმა უნდა, შინაც ითამაშებს, ოღონდაც „ექვსი ერის“ მონაწილე იტალიასთან, რაც მსოფლიო რაგბში დადგენილი უფროს-უმცროსობიდან გამომდინარე, მაინცდამაინც სახარბიელო პერსპექტივა ვერაა. „აძური“ პულს უპრობლემოდ მოიგებს და ფინალის საგზურს პირდაპირ მოიპოვებს, მაგრამ მეორე ადგილზე დარჩენილიც გააგრძელებს ბრძოლას მესამე ევროპული ვაკანსიისთვის.

აქედან „ბორჯღალოსანთა“ პროგრამა-მინიმუმი ნათელია: მესამე ადგილი! მეორე პოზიცია მესამეს ოდენ იმით სჯობს, რომ საშინაო მატჩი უფრო სუსტ მეტოქესთან, „ერთა თასის“ მეხუთე გუნდთან გვექნება, გასვლაზე კი ჩემპიონს უნდა ვეახლოთ.

სისტემა ევროპული რაგბის მამებს ისე გაუთვლიათ, რომ მეექვსე რაუნდში ფინალის მესამე საგზური ვაჟკაცურად, ორ მატჩში, „ერთა თასის“ ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებმა გაითამაშონ. აქედან ცხადია, რომ ოდენ რუსეთის შინ ჯობნა მსოფლიო თასზე გასასვლელად ვეღარ გვეყოფა.

სხვაფრივ, მეექვსე რაუნდში ხელმოცარულს იმედად კიდევ დარჩება ორ-რაუნდა რეპეშაჟი, მაგრამ ეგეც ნაღდია, რომ წინა ორ მსოფლიო თასზე ევროპელებს ამ გზით სანუკვარ ოცეულამდე ვერ მიუღწევიათ.

ერთა თასი (ETT) 2005-2006

2004	20/11	რუსეთი – საქართველო	15:27
		უკრაინა – პორტუგალია	6:36
	27/11	ჩეხეთი – რუმინეთი	14:38
2005	5/02	პორტუგალ – საქართველო	18:14
	26/02	საქართველო – უკრაინა	65: 0
		რუმინეთი – რუსეთი	33:10
		პორტუგალია – ჩეხეთი	19:13
	12/03	საქართველო – რუმინეთი	20:13
		ჩეხეთი – უკრაინა	42: 5
	19/03	რუმინეთი – უკრაინა	97: 0
		ჩეხეთი – რუსეთი	11: 7
	4/06	რუსეთი – პორტუგალია	16:18
	11/06	რუმინეთი – პორტუგალია	*
		რუსეთი – უკრაინა	*
	12/06	საქართველო – ჩეხეთი	*

მეორე წრე: 2005 წლის შემოდგომიდან 2006 წლის ივნისამდე

კიბე: პორტუგალია 4-0, რუმინეთი და საქართველო 3-1, ჩეხეთი 2-2, რუსეთი და უკრაინა 0-4



iRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE
ფინალი
7 სექტ - 20 ოქტ 2007
საფრ
ირლ
ამერ 1
დ
ევრ 3
აფრ 1
ინგლ
სამხ.აფრ
ზღვ 1
ა
ამერ 3
ზღ"აზ
ზელ
შოტლ
ევრ 1
გ
ევრ 2
ე"ა"ა
ავსტ
უელ
ზღვ 2
ბ
ამერ 2
აზ 1
რეპეშაჟი 2
2007 დამდეგი
ე"ა"ა
შ და გ
ამერ 4
ვ 1
რეპეშაჟი 1
2006 ბოლო - 2007 დამდეგი
შ და გ
აფრ 2
ე 2
ვ
ევრ 3
მე-6 რაუნდი
2006 ნოემ
შ და გ
ა 2
ბ 2
ე
ევრ 1
ევრ 2
მე-5 რაუნდი
2006 ოქტ
შ+გ
იტალ
ეთ 3
ა 1
ა
შ+გ
ეთ 1
ეთ 2
ბ 1
ბ
გზამკვლევი
პირდაპირ გადის შემდეგ რაუნდში
ხელმოცარული გადის საშუალედო რაუნდში
ხვდება ფინალში ევრ № -ად
შ და გ შინ და გარეთ
შ+გ ნაწილი შინ, ნაწილი გარეთ
$ ფინალში ხვდება
" რეპეშაჟის გავლით
მე-4 რაუნდი
2006 სექტ
შ და გ
ეთ 4
ეთ 6
ა
შ და გ
ვ 1
ეთ 5
ბ
ორი წრე (წელი)
მე-3ბ რაუნდი
2006 მაისი
შ და გ
ა 1
ბ 1
ვ
მე-3ა რაუნდი
2005 ოქტ - 2006 აპრ
2შ+2გ
ესპან
პოლონ
მოლდ
ა
ჰოლან
ანდორა
2შ+2გ
გერმ
ბელგ
ხორვ
ბ
სერბ
მალტა
პორტ
რუმინ
საქარ
რუს
ჩეხ
უკრ
ერთა თასი
2004 ნოემ - 2006 ივნ

მარტივად ახსნილი რაბბი

გუნდი

გუნდიდან მოედანზე 15 კაცია. სათადარიგო შვიდია და ნებადართულია შვიდი შეცვლა. დასისხლიანებული მოთამაშე მოედნიდან უნდა გავიდეს და მანამ არ დაბრუნდეს, სანამ თავს არ მოიწესრიგებს.

დრო

თამაში ორ ტაიმად იმართება. თითოს ხანგრძლიობა 40 წუთია. ამას ემატება ტრავმათა, შეცვლათა და მსაჯთა თათბირის გამო გაცდენილი დრო. ერთი კია, ტაიმი არ თავდება გაგანია ბურთაობაში, საჯარიმო და თავისუფალ დარტყმებზე; სამაგიეროდ, დროის ამოწურვის შემდეგ პირველივე აუტი, შერკინება, 22-დან განახლება და ლელოს გარდასახვა ტაიმის ბოლოს მომასწავებელია.

ხეირის წესი

მსაჯობის მთავარი პრინციპი ხეირის (უპირატესობის) ამოქმედებაა. როცა ერთი გუნდი წესს არღვევს, მსაჯი უმალ კი არ სტვენს, არამედ მეტოქეს იერიშს აცლის და მხოლოდ მაშინ, როცა მართალი გუნდი ვეღარ ხეირობს, ნიშნავს ადრინდელი დარღვევის სარგო სასჯელს.

ქულები

ბურთის გატანა ხდება ოთხი ხერხით. ლელო 5 ქულად ფასობს. ამის შემდეგ გუნდი კარში ურტყამს გარდასახვას და თუ შეაგდო, კიდევ 2 ქულა ემატება.

გოლის გატანის სხვა ორი ხერხია საჯარიმო და არეკნი (თამაშის დროს ბურთის მიწაზე დაგდება და ფეხის მაშინ ამორტყმა, როცა ბურთი მიწიდან ხტება). ორივე 3 ქულად ფასობს.

ლელო გაიტანება მეტოქის ლელოში ბურთის დამიწებით. თუ გუნდი ბურთს თავის ლელოში დაამიწებს, მას ლელო დაცულად ეთვლება.

დარღვევები

ბურთის წინ გადაწოდება ან ხელიდან წინ დავარდნა ისჯება შერკინებით.

თამაშგარე (ოფსაიდი) ჯარიმაა. ღია თამაშში ოფსაიდშია ყველა შემტევი, ვინც კი ფეხის დარტყმის მომენტში თანაგუნდელი დამრტყმელის წინაა. ესენი ოფსაიდიდან ან თავად უნდა გავიდნენ, ან დამრტყმელმა გაიყვანოს, როცა წინ აირბენს და მათ გაუსწორდება.

სხვაგვარი თამაშგარე მოქმედებს ბოჭვაზე, რაქში (ძირს დებული ბურთისთვის ზეზეულად ბრძოლაში), მოლში (ბურთისთვის დგომელა ჭიდილში), შერკინებაში და დერეფანში.

ამისი არსი ისაა, რომ ვინც კი იმ მომენტში ბურთისთვის არ იბრძვის, მებრძოლ თავისიანთაგან უკანასკნელზე უკან უნდა დაიხიოს, დერეფანში კი ამის შუა ხაზს სულაც 10 მეტრით დაშორდეს.

სადაო ბურთი

დერეფანსა და შერკინებაში ბურთი შუაში უნდა მოაწოდონ. შერკინებაში აუცილებლად რვა კაცი უნდა ჩადგეს. დერეფანში ნებადარ-

სამატჩო რაზმი

ფორვარდები	ბეკები

დამწყებები (15-ეული)

1	მარცხენა ბურჯი	9	ჰავბეკი
2	ჰუკერი (კვაჭი)	10	პივოტი (ხუთი მერვედი)
3	მარჯვენა ბურჯი	11	მარცხენა გარემარბი
4	მეორე ხაზელი	12	პირველი შუამარბი
5	მეორე ხაზელი	13	მეორე შუამარბი
6	მოკლე ფრთა	14	მარჯვენა გარემარბი
7	გრძელი ფრთა (მღლეტელი)	15	ფულბეკი
8	მესამე ხაზი		

სათადარიგოები (მარქაფა)

16	ჰუკერი	20	ჰავბეკი
17	ბურჯი	21	შუა ბეკი (10, 12, 13)
18	მეორე ხაზელი	22	უკანა ბეკი (11, 14, 15)
19	მარბიელი (6, 7, 8)		

თულია ბურთის მოსაგებად ამხტარი კაცისთვის ხელის შეშველება.

თუ გაგანია თამაშში მეტოქე ბურთიანს დაიჭერს და წააქცევს (შებოჭავს!), ამან ბურთით უმალ უნდა ითამაშოს, თორემ დაჯარიმდება. მოიერიშე ყველაზე ხშირად ამ წესს არღვევს.

შემტევი გუნდი კიდევ ჯარიმდება გზის შეკვრისთვის (ბლოკირება; ანუ როცა მეტოქეს შენს გუნდელ ბურთიანთან არ მიუშვებ).



შერკინება

როცა ბურთი ჩაიხურება, ინიშნება შერკინება. ბურთს მასში აგდებს ის გუნდი, ვინც წინ მიიწევდა, მაგრამ თუ გუნდმა ბურთი მოლიდან ვერ გამოიტანა, შერკინებაში შესაგდებად ბურთი მეტოქეს გადაეცემა. იგივე ხდება მაშინაც, როცა გუნდი მოგებულ ბურთს შერკინებიდან მის მოტრიალებამდე ვერ გამოიტანს.

თუ ბურთი აუტში თამაშ-თამაშ გავიდა, დერეფანში მას მეტოქე მოაწვდის, მაგრამ თუ ბურთი კიდეზე ჯარიმიდან დაარტყეს, აწვდის ჯარიმის დამრტყმელი გუნდი. ეს მძლავრი საიერიშო ხერხია.

ხეირი ამ გუნდს

ლელო!

ფეხით თამაში

თუ ბურთი აუტში საკუთარი 22-მეტრა ხაზის უკნიდან, ან ჯარიმიდან დაარტყეს, დერეფანი დადგება იქ, სადაც ბურთი აუტში გადავიდა, მაგრამ თუ ბურთი 22-ის გარედან დაარტყეს აუტში, იგი კიდეზე გადასვლამდე ჯერ მოედანში უნდა დავარდეს, თორემ დერეფანი დარტყმის ადგილის გასწვრივ მოეწყობა.

ტაქტიკა

რაგბში არ არსებობენ ცალკე თავდამსხმელები და ცალკე მცველები: ყველა ერთად უტევს და იცავს თავს.

ყოველი სასტვენის მერე თამაშს იწყებენ ფორვარდები (მორკინალები).

ამათი მიზანია, პირდაპირი, ძალისმიერი მიძალებით ბურთი წინ წაწიონ და მოედნის მცირე უბანზე მიიზიდონ მეტოქის ჭარბი ძალა.

როცა კი ეს მოხდება, ჰავბეკი ბურთს მისცემს ბეკებს (უკანა ხაზელებს), რათა ამათ მოედნის ვრცელსა და გაუხშოებულ უბნებზე, უკან დამხვევი დაცვის წინაშე, თავიანთი სიმარდის წყალობით, გამოიყენონ რიცხობრივი მეტობა.

ვიდრე ეს მოხდება, შემტევს ხშირად ზედიზედ უწევს მიძალება. ამას იერიშის ფაზა ჰქვია.

ყოველი ფაზის შემდეგ მოქმედებს ოფსაიდი, ხდება ტერიტორიის გამიჯვნა და ორივე გუნდი გადაჯგუფდება ხოლმე.

თუ დამცველი ამ დროს შემტევს ბურთს აართმევს, მაშ, თერნოვერი მომხდარა და დამცველს უკვე თავად შეეძლება შეტევა.



საქართველოს ბორჯღალოსნები

ბეკები (უკანა ხაზი) ☸ ქულა

უკან (15, 11, 14 “ 22)

..	ოთარ ბარკალაია	ლელო	21	11	2გ	1ს	1ა	10
..	ირაკლი მაჩხანელი	აკადემია	24	14		2ლ		10
..	გიორგი ელიზბარაშვილი	აკადემია	21	3				0
..	თემურ სოხაძე	ყოჩები	20	–		ახალბედა		0

შუაში (13, 12 “ 21)

..	თედო ზიბზიბაძე	გურდონი სფრ	25	36		9ლ		45
..	ირაკლი გიორგაძე	ბურგუენი სფრ	23	13				0
..	ლაშა ფირფილაშვილი	ლელო	22	7				0

პივოტი (10)

..	მახო ურჯუკაშვილი	აკადემია	25	38	9ლ	22გ	28ს	1ა 176

ჰავბეკი (9 “ 20)

..	ბიძინა სამხარაძე	ლოკომოტივი	22	6				0
..	მეკო კვირიკაშვილი	ლელო	22	11		4ს		12

ფორვარდები (შერკინება)

პირველი ხაზი (1, 2, 3 “ 16, 17)

..	გოდერძი შველიძე	კლერმონი სფრ	27	29		6ლ		30
..	აქვსენტი გიორგაძე	როვიგო იტა	29	38		8ლ		40
..	დავით ზერაქაშვილი	კლერმონი სფრ	22	5		1ლ		5
..	მიხეილ სუჯაშვილი	ენისეი რშს	28	5				0
..	დავით გასვიანი	შალონი სფრ	24	2				0

მეორე ხაზი (4, 5 “ 18)

..	ილია ზედგინიძე კაპ	ორლეანი სფრ	28	35	11ლ	(19 კაპ)		55
..	მამუკა გორგოძე	ლელო	21	13		3ლ		15
..	ლევან დათუნაშვილი	ვიერზონი სფრ	22	4				0

მესამე ხაზი (6, 7, 8 “ 19)

..	რატი ურუშაძე	ენისეი რშს	30	8		2ლ		10
..	დავით ბოლღაშვილი	აკადემია	26	27	3ლ	(2 კაპ)		15
..	ბესო უდესიანი	შალონი სფრ	26	11				0
..	ილია მაისურაძე	ნანტი სფრ	28	7				0

მწვრთ: მალხაზ ჭეიშვილი, დავით ჩავლეიშვილი, პაატა ნარიმანაშვილი